



სკოლის გაზეთი



„ევროპული სკოლა“ წლის ლიდერია!

„ევროპულ სკოლას“ ბიზნეს რეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო Leader of the Year გადაეცა. „ევროპული სკოლა“ წარმატებული საერთაშორისო სკოლაა, რომელმაც ქართულ კომპანიებს შორის ოქროს რეიტინგი მოიპოვა. საზეიმო ცერემონია Bioli Medical Wellness Resort-ში გაიმართა.

„ეს ჯილდო ეკუთვნის თითოეულ მასწავლებელს, თანამშრომელს, რომელთაც სკოლის არსებობის 14 წლიანი არსებობის განმავლობაში წვლილი შეიტანეს სკოლის განვითარებაში.

„ევროპული სკოლა“ მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე, წარმატებაზე, ინოვაციაზე და მჯერა, რომ ამ გამოწვევების ფონზე „ევროპული სკოლა“ გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ქვეყნის განვითარების საქმეში. ვულოცავ სკოლის საზოგადოებას ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას!“-განაცხადა „ევროპული სკოლის“ დირექტორმა სოფიო ბაზაძემ.





ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში

„ევროპულ სკოლაში“ ტექნოლოგიური განვითარებისთვის კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქნა გადადმული - ჩამოყალიბდა ციფრული ტრანსფორმაციის გუნდი, რომლის მიზანია სკოლაში სხვადასხვა დონეზე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება.

ციფრული ტრანსფორმაცია ეს არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ყველა მიმართულებით ხდება ტექნოლოგიური და ინოვაციური მიდგომებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

მასწავლებლებს უტარდება ტრენინგები სხვადასხვა ციფრული ხელსაწყოთა გამოყენების კუთხით, რათა პედაგოგებმა სწავლების პროცესში აქტიურად შეძლონ მსგავსი ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება. მასწავლებლებთან ერთად ასევე მუშავდება ახალი სასწავლო მეთოდოლოგიები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და ტექნოლოგიური/ციფრული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი მოსწავლეებისთვის ტექნოლოგიური თემების შესახებ ვორქშოპებისა და საინტერესო ღონისძიებების შეთავაზებასაც გულისხმობს. ამ აქტივობების ფარგლებში ისინი ეცნობიან როგორც მომავლის პროფესიებს, ასევე - იმ ტექნოლოგიურ ტრენდებსა და გამოწვევებს, რაც სამყაროს წინაშე დგას. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან იდეათონებსა და კრეათონებშიც, სადაც თანასკოლელებთან და მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ სხვადასხვა პრობლემებისა და გამოწვევების ტექნოლოგიების გზით გადაჭრაზე.

„ევროპულ სკოლასა“ და „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა


ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი „ევროპული სკოლის“ დირექტორმა სოფიო ბაზაძემ და „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის“ ხელმძღვანელმა დავით გადელიამ მოაწერეს. აღნიშნული დოკუმენტი, მსოფლიო პანდემიის პირობებში, სკოლასა და კლინიკას შორის მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ახალი კორონავირუსის COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში „ევროპული სკოლა“ ხელს უწყობს მოსწავლეების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჯანმრთელობას. საჭიროების შემთხვევაში კლინიკა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოებას სამედიცინო მომსახურებას სპეციალური პირობებით.

„ევროპული სკოლის“ წარმომადგენლებს (მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სხვა თანამშრომლებს) კლინიკა გაუწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და პატრონაჟს მთელი მკურნალობის განმავლობაში; ჩაუტარებს ტესტირებას ვირუსის დადგენის ან გამორიცხვის მიზნით, აგრეთვე შესთავაზებს სპეციალურ პირობებს სადიაგნოსტიკო მომსახურებაზე. გისურვებთ ჯანმრთელობას!



TEDxIBEuropeanSchool - წელს პირველად ონლაინ სივრცეში!

ერთმანეთისგან შორს, მაგრამ მაინც ერთ ვირტუალურ სივრცეში შეკრიბა ყოველწლიურმა ღონისძიებამ - TEDxIBEuropeanSchool „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, კურსდამთავრებულები და ინტელექტუალურ-გასართობი სადამო შესთავაზა მათ. სააზროვნო გამოსვლები, რომლებიც „ევროპული სკოლის“ სამივე პროგრამის (IB DP, AHS, ქართული პროგრამა) მოსწავლეებმა გააკეთეს თემაზე - „ვიზოვით y - ის მნიშვნელობა“, უკავშირდებოდა განსხვავებულ საგნებს, დაწყებული ეკონომიკით და ზოოლოგიით დამთავრებული. ახალგაზრდა პოპულარულმა მუსიკოსებმა ლიზა კალანდამემ და გიორგი გიგაშვილმა შესრულებული მუსიკალური კომპოზიციებით სხვა სივრცეზე და მიმზიდველობა შესძინეს შემეცნებით ღონისძიებას.



იპოვეთ დრო და დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა, შეიცვალეთ წარმოდგენა ან უბრალოდ გაიგეთ მეტი TEDxIBEuropeanSchool-თან ერთად შემდეგ საკითხებზე:

- არის თუ არა ჩინური შესასწავლად რთული ენა?
- ქუჩის მხატვრობა ნამდვილი ხელოვნებაა თუ სიმახინჯე?
- შეუძლია თუ არა ნებისმიერ ადამიანს გახდეს კრეატიული?
- რა ვქნათ, როცა მომავალი პროფესიის არჩევა და სერიოზული გადაწყვეტილების მიღება გვიწევს ჯერ კიდევ გამოუცდელელებს?
- როგორ უნდა უზრუნველყოს ქვეყანამ მოსახლეობის ენერგორესურსებით მომარაგება გარემოსა და საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების გარეშე?
- როგორ გამოვიყენოთ ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდის პოტენციალი COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის პირობებში?
- აქეთ თუ არა მობილურ ტელეფონებს არახელსაყრელი ზეგავლენა პირისპირ კომუნიკაციაზე?
- შეიძლება თუ არა აიკრძალოს გასართობი წარმოდგენები ცხოველთა მონაწილეობით?
- არის თუ არა ძილის ნაკლებობა მოზარდებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლემა?
- როგორ უნდა გაუმკლავდეს ხელოვანი შფოთვას?

ბავშვები ბავშვების მხარდასაჭერად. კარგი ამბავი შატილიდან



სოციალური პასუხისმგებლობა „ევროპული სკოლისთვის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ამ მიმართულებით სკოლა წლიდან წლამდე არაერთ ღონისძიებას მართავს. შატილის სკოლა-პანსიონის მხარდაჭერა წარმატებული კამპანია აღმოჩნდა, სადაც მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით ჩაერთნენ და სურვილი გამოთქვეს თანატოლების დასახმარებლად. შატილის სკოლა-პანსიონი შარშან დაიწვა. იმავე დღიდან, როცა ეს ფაქტი მოხდა, „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა შატილელი თანატოლების დასახმარებლად კამპანია #შენცშემოგვიერთდი წამოიწყეს. ბავშვები ბავშვების მხარდასაჭერად გაერთიანდნენ და დაიწყეს სასკოლო ნივთების შეგროვება. წიგნები, სახელმძღვანელოები, ფოტოაპარატი, ბურთები, საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერის აქსესუარები და სასწავლო რესურსები მცირე

ჩამონათვალია იმ საჩუქრებისა, რომელიც შატილში გასაგზავნად შეგროვდა. ჩვენს ინიციატივას „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“ შეუერთდა და 8 კომპიუტერი გადასცა საჩუქრად შატილის სკოლას. სკოლა სრულად აღჭურვა „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ და „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“. პანსიონს ახლა ყველა საჭირო ინვენტარი აქვს: სასკოლო თუ საყოფაცხოვრებო საგნები, გაზეტო, მაცივარი, საწოლები, კარადები, ლეიბები და ბალიშები, სპორტული და საკანცელარიო ნივთები. ყოველივე, რაც სკოლა-პანსიონმა ითხოვა, „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ უკვე ჩაიტანა ადგილზე და შატილის ახალ სკოლაშია განთავსებული. პანსიონის შენობის მშენებლობა დასრულებულია, საჭირო სასკოლო და საცხოვრებელი ინვენტარი შექმნილია და უკვე ადგილზეა.

ჩვენ ასტრიდელეები ვართ! ასტრიდ ლინდგრენის კვირეული და შვედეთის ელჩის ულრიკ თიდესტრომის მიმართვა „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს

„მე არ მინდა ვწერო უფროსებისთვის. მე მსურს ვწერო იმათთვის, ვისაც შეუძლია სასწაულების გაკეთება. ამ სასწაულებს სწორედ, რომ ბავშვები ქმნიან“ - ასე ამბობდა მსოფლიოში ყველასათვის საყვარელი საბავშვო მწერალი ასტრიდ ლინდგრენი.

„ევროპული სკოლის“ წიგნიერმა მოსწავლეებმა „ასტრიდ ლინდგრენის ონლაინ კვირეულში“ აქტიური მონაწილეობა მიიღეს. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა გიორგი კეკელიძის ლიტერატურული გაკვეთილები; შვედეთის ელჩმა ულრიკ თიდესტრომმა მოსწავლეებს გამოუგზავნა ვიდეომიმართვა, რომელშიც ასტრიდ ლინდგრენის წიგნების ჩამონათვალიდან მისთვის ყველაზე საყვარელ ნაწარმოებებზე ისაუბრა; დიანა ანფიმიადმა აღნიშნულ საბავშვო წიგნებში ამოკითხული კერძების რეცეპტები გააცნო ბავშვებს.

მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; გამოეწყვნენ კარლსონის, პეპის, ემილის და რონიას კოსტიუმებში; მოამზადეს პეპის მაჭკატები და კარლსონის მურაბები, წერილები მისწერეს ასტრიდს, დახატეს გმირები. სხვა სკოლებმაც ხალისით მიიღეს „ევროპული სკოლის“ გამოწვევა და დიდი ინტერესით ჩაერთვნენ კვირეულში. მოსწავლეები კვირეულის ბოლოს დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.



ქველმოქმედება და „ეკვილიბრიუმი“

ცოდნის, განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის გზაზე „ევროპული სკოლა“ წიგნიერების არაერთი პროექტის თანამონაწილეა. ერთ-ერთი ასეთი პროექტია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა შეაგროვეს საბავშვო წიგნები და მწერალ გიორგი კველიძეს გადასცეს, რომელმაც ხელვაჩაურში, სტიქიას შეწირული ოჯახის ერთადერთ გადარჩენილ წევრს, 12 წლის თიკა თედორაძეს თანამედროვე ბიბლიოთეკა მოუწყო. საინტერესო საბავშვო წიგნები ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამაც გამოგვიგზავნა. ქველმოქმედებამ კიდევ ერთხელ გაგვაერთიანა: სკოლა, ბიბლიოთეკა და გამომცემლობა.

„ევროპული სკოლა“ „ეკვილიბრიუმის“ ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. „ეკვილიბრიუმი“ ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმგანთლებლო მოძრაობაა, რომლის მიზანიც სოფლის ბიბლიოთეკების აღდგენა, განახლება, წიგნებით მომარაგება და კოპიუტერაზაციაა. ასევე სკვერის ბიბლიოთეკების და მედიათეკების მოწყობაა“-განაცხადა მწერალმა გიორგი კველიძემ



გაიცანით „ევროპული სკოლის“ გრანტოსნები!

„ევროპული სკოლის“ 21-მა წარჩინებულმა მოსწავლემ, გასული სასწავლო წლის დასასრულს შეჯამებული შედეგების საფუძველზე, მიიღო „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ გრანტი: „ევროპული სკოლის წარჩინებული“. უკვე რამდენიმე წელია „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდსა“ და „ევროპულ სკოლას“ შორის ჩამოყალიბდა პარტნიორობა, რომელიც ემსახურება ქვეყანაში განათლების მაღალი ხარისხისა და ევროპული სტანდარტების მიღწევას.

დაწესებული გრანტი ენიჭებათ განსაკუთრებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც გამოირჩევიან არა მხოლოდ აკადემიური კუთხით, არამედ კლასგარეშე საქმიანობითა და სამოქალაქო ჩართულობით.

2019-2020 წლის მეორე სემესტრის გრანტოსნები არიან: ახალკაცი ლიზი, თედორაძე ნინო, გელაძე გიორგი, თვაური თემური, მურვანიძე მარიამი, ტალახაძე ლიზი, შუშანია ალექსი, გადელია ალექსანდრე, გობიანიძე ანასტასია, სააკაშვილი მარიამ, შოშიაშვილი ნუგზარ, დიასამიძე ანა, ზოდელავა ქეთევან, დარჩიაშვილი სოფო, ყუბანიძე თორნიკე, ზედგენიძე სალომე, ჯოხაძე ელენე, ფანჯაკიძე ელენე, ქობლიანიძე ელენე, ოქრიაშვილი მარიამ და ცერცვაძე ნინი.

„ევროპული სკოლა“ ულოცავს მოსწავლეებს და წარმატებას უსურვებს მათ მომავალში!

გაიცანით „ევროპული სკოლის“ გრანტოსნები!

www.europeanschool.ge

შემაჯამებელი ასამბლეა

დადგა დრო, ასამბლეაზე მოსწავლეებმა შეაჯამონ სემესტრის განმავლობაში გავლილი სხვადასხვა საგნობრივი თემები, წარმოადგინონ საინტერესო პროექტები, ნამუშევრები. „ევროპული სკოლის“ ქართული პროგრამის საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა ონლაინ ასამბლეები გამართეს.


X-XII კლასის მოსწავლეთა ასამბლეა, რომელიც ამჯერად განსხვავებულ ფორმატში ჩატარდა, შინაარსობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროექტები, ლიტერატურული ჩანახატი, გაგვიზიარეს საკუთარი ხედავ ცხოვრების ფილოსოფიაზე, ცხოვრების ფერებში აღქმაზე, შემოგვთავაზეს გასართობი თოქ-შოუ, შეასრულეს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები, მოაწყვეს კულინარიული მასტერკლასები, დაგვასწრეს ნახატებისა და ხელნაკეთი კერამიკული ნივთების ონლაინ გამოფენას, მოახდინეს საკუთარი საკოლექციო ნიმუშების დემონსტრირება და დრონითაც კი დაგვათვალიერებინეს ღამის ქალაქი.

არანაკლებ მრავალფეროვანი და შემოქმედებითი პროექტებით დატვირთული იყო ქართული პროგრამის საბაზო საფეხურის ასამბლეა.

გლობალური პანდემიის ფონზე შექმნილი ვითარების გააზრება, პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება, ციფრული უნარების, ციფრული რესურსების როლი დღევანდელობაში - ეს საკითხები ასამბლეაზე წარმოდგენილ არაერთ პროექტში იყო განხილული. ჩვენმა მოსწავლეებმა, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ფაქტი, რომ ონლაინ სწავლებაზე ყველა მოზარდს ერთნაირი წვდომა არ აქვს, ქართული ენისა და ლიტერატურის ვიდეოგაკვეთილები ჩაწერეს და იმ მოსწავლეებს გადაუზავნიან, ვისაც ეს მნიშვნელოვნად დახმარება. „ცნობილი ქართველი ქალები“ ასევე მოსწავლის მიერ შექმნილი, ინფორმაციით დატვირთული, საინტერესო ელექტრონული გვერდია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის არის ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საგნობრივ ნაშრომებში დიდი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების დატვირთვა. ასამბლეაზე გაეცნობოდით მოსწავლეთა მიერ დაწერილ მოთხრობებს, მოისმენდით მათ მიერ შექმნილ მუსიკალურ კომპოზიციებს, იხილავდით ილუსტრაციებს, კომიქსებს, ვიდეორგოლებს, საზოგადო მოღვაწეებთან დისტანციური შეხვედრების ამსახველ კადრებს და ბოლოს, დაესწრებოდით ახალი წლის თემაზე შექმნილი ნამუშევრების ონლაინ გამოფენას.

ქართული პროგრამის საბაზო და საშუალო საფეხურის ასამბლეებზე მოსწავლეთა მიერ გამოვლენილმა შემოქმედებითმა მიდგომამ, საინტერესო კვლევე ბმა, წარმოდგენილი პროექტების შინაარსობრივმა და ენობრივმა მრავალფეროვნებამ დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.



„ევროპული სკოლა“ იწყებს საერთაშორისო ბაკალავრიატის მეოთხე პროგრამის დანერგვას!



უკვე ათწლეულზე მეტია, მუდმივი განვითარება „ევროპული სკოლის“ მთავარი მახასიათებელია. წინსვლისა და განვითარების გზაზე პრიორიტეტულია თითოეული მოსწავლის საჭიროების, კარიერული მიზნების გათვალისწინება. მრავალფეროვანი და განსხვავებულია მოსწავლეთათვის შეთავაზებული აკადემიური პროგრამები, თუმცა მათი დამთავრებისას მიღწეული შედეგი ერთია - თითოეული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება მოსწავლეთა სამომავლო წარმატების წინაპირობაა.

„ევროპულ სკოლას“ ოფიციალურად მიენიჭა საერთაშორისო ბაკალავრიატის კარიერული პროგრამის (IB CP) კანდიდატი-სკოლის სტატუსი.

კარიერული პროგრამა (CP) არის საერთაშორისო განათლების პროგრამა, რომელიც პასუხობს იმ მოსწავლეთა საჭიროებებს, რომლებიც კარიერული განათლების მიღებით არიან დაინტერესებულნი. ეს არის გზა უმაღლესი განათლების, პროფესიის დაუფლებისა და დასაქმებისკენ.

კარიერული პროგრამის (CP) დანერგვით „ევროპული სკოლა“ 2022 წლის სექტემბრიდან გახდება ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან სკოლათაგან, რომლებიც საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) ოთხივე პროგრამას ახორციელებენ. 5400 ავტორიზებული IB მსოფლიო სკოლიდან მხოლოდ 41 სთავაზობს მოსწავლეებს საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამების სრულ ნაკრებს (PYP, MYP, DP და CP). „ევროპულ სკოლაში“ IB CP პროგრამის დანერგვა წინასაუნივერსიტეტო განათლების კიდევ ერთი დამატებითი არჩევანი იქნება ჩვენი მოსწავლეებისთვის.


ბავშვთა მსოფლიო დღე

20 ნოემბერი მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან ამ დღეს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბავშვთა უფლებების დეკლარაცია მიიღო. ეს დღე მთლიანად ეძღვნება ბავშვებს, მათ განსაკუთრებულ უფლებებსა და თავისუფლებას. რაც მათ ბედნიერ და ჯანსაღ მოზარდებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ბავშვთა უფლებები, ამ რთული კრიზისის დროსაც კი, პატივისცემას და დაცვას საჭიროებს. Covid-19-ის პანდემიამ დააზარალა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დაარღვია ბავშვთა უფლებებიც კი.

20 ნოემბერს ევროპული სკოლის IB PYP-ის საზოგადოებამ ბავშვთა მსოფლიო დღე, Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, ვირტუალურად აღნიშნა. ჩვენ ვაცნობიერებთ იმ პრობლემებს, რომლებსაც ბავშვები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწყდებიან და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ თითოეული ბავშვის კეთილდღეობას.

PYP-ის მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ დაწერეს ლექსები, მოთხრობები, გააკეთეს პრეზენტაციები და ჩაერთვნენ სხვადასხვა ონლაინ თამაშებში.

გვინდა, ყველა ბავშვმა იგრძნოს, რომ ისინი განსაკუთრებულნი არიან და ქმნიან ჩვენს მომავალს. თუ გვსურს, რომ ბედნიერი და ჰარმონიული მომავალი გვქონდეს, ყველაზე მეტად ჩვენი მოსწავლეების კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაზე უნდა ვიზრუნოთ.





PYP მოსწავლეების წერილები PYP საზოგადოებას

პირველი სემესტრი დასასრულს მიუახლოვდა, შესაბამისად, მე-3 ბ კლასის მოსწავლეებს დისკუსია ჰქონდათ თავიანთ მიღწევებსა და, ზოგადად, სასწავლო პროცესზე. აღნიშნეს, თუ როგორი რთული გახლდათ მუდმივად სახლში ყოფნა, სწავლა მეგობრებისგან, მასწავლებლებისგან შორს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი სემესტრის განმავლობაში მოსწავლეებს არ ძალუძდათ სკოლაში მისვლა, მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები, მაინც გრძნობდნენ ერთმანეთთან კავშირს, რადგანაც ამ პერიოდში PYP საზოგადოების თითოეული წევრი ერთმანეთის გვერდით იდგა: მშობლები თავიანთ შვილებს პროექტების შესრულებაში ეხმარებოდნენ, მასწავლებლები - მოსწავლეებს, მოსწავლეები კი - თანაკლასელებს.

სწორედ ამიტომ, მე-3 ბ კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, მიეწერათ წერილები იმ ადამიანებისთვის, რომელთა მხარდაჭერასაც გრძნობდნენ მთელი სემესტრის განმავლობაში. თავიანთი წერილების მეშვეობით, მოსწავლეებმა გამოხატეს საკუთარი ემოციები და მადლიერება სკოლის მიმართ.

წერილებში თამამად გამოთქვეს, თუ როგორ უჭირდათ ონლაინ სწავლება, როგორ ენატრებოდათ მასწავლებლები, კლასელები და მეგობრები. ბავშვები იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს კვლავ შეძლებენ სკოლაში დაბრუნებას, საკლასო ოთახებიდან სწავლის გაგრძელებას. მოსწავლეებმა ჩვენი სკოლის წევრებს უსურვეს ჯანმრთელობა და მოუწოდეს, რომ იყვნენ პოზიტიურად განწყობილნი და იმედიით აღსავსე.

აღნიშნული წერილების შინაარსიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ როგორ აფასებენ მოსწავლეები ყველა იმ ადამიანს, ვინც ასე ჩართულია მათ ცხოვრებასა და სწავლების პროცესში. დიდი იმედი გვაქვს, რომ მათი ნატვრა ახდება და ძალიან მალე საქართველოში მცხოვრები თითოეული მოსწავლე სკოლის შენობას დაუბრუნდება.



ქარგვა არ არის მხოლოდ ხელოვნება

MYP პროგრამა მოსწავლეებს საინტერესო პერსონალური პროექტების განხორციელების საშუალებას აძლევს. სასკოლო გაზეთის მიმდინარე გამოცემაში გაგაცნობთ ნინო გაბაიძეს. ის 15 წლისაა და მისი პერსონალური პროექტი ქარგვის შესახებ გახლავთ. ნაქარგების შექმნისას ნინომ შთაგონების წყაროდ ლიტერატურა აირჩია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „ლიტერატურა არის უსასრულო წყარო ახლის შესწავლისა და აღმოჩენისთვის“.

მისი ნაქარგები უმეტესად ლიტერატურული ნაწარმოებების თემებზე და მათი ავტორების შესახებაა შექმნილი. ნინო პროექტის დასაწყისში არ იყო ქარგვაში გაწაფული, მაგრამ ხედავდა, რომ ქარგვისას ყველანაირი პრობლემა ავიწყდებოდა და უჭრებოდა შფოთვის განცდა, რაც მეტად მოსწონდა. იგი პროექტის ფარგლებში შეხვდა ამ დარგის პროფესიონალს - ქალბატონ ლელა აბდუშელიშვილს, რომელიც ქარგვას ბავშვობიდან, რადგან ეს მისი ოჯახის ტრადიციაა. მოწადინებულმა მოსწავლემ ბევრი რამ ისწავლა მისგან. ნინოს ქარგვა არა მხოლოდ სტრესის და ნერვიულობის თავიდან აცილებაში დაეხმარა, არამედ ხელი შეუწყო ძალიან საჭირო და გამოსადეგი უნარების განვითარებაში.



აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში ნინომ გახსნა სოციალური მედიის გვერდი, სადაც იგი აქვეყნებს ვიდეო გაკვეთილებს ქარგვის შესახებ, საუბრობს ქარგვის ისტორიაზე, საინტერესო ფაქტებსა და ლიტერატურაზე. შეგიძლიათ, ეწვიოთ მის გვერდს Facebook-ზე, გვერდის სახელწოდებაა: Literature and Ancient Art / ლიტერატურა და უძველესი ხელოვნება.

შენც შეგიძლია მიწვდე

მიშიკო გაბაიძის პერსონალური პროექტი "შენც შეგიძლია მიწვდე" გამორჩეულია MYP-ის პროექტებს შორის და მიზნად ისახავს, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მაღალმთიან საქართველოში მოგზაურობა და ულამაზესი და თვალწარმტაცი ხედების, ძეგლებისა და ბუნების ხილვა.

მიშიკოს ყოველთვის აინტერესებდა, თუ როგორ შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა საზოგადოებაში, როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეს.

მას სურდა, შეექმნა რაიმე ღირებული და დახმარებოდა სხვებს. როდესაც პერსონალური პროექტის განხორციელების დრო მოახლოვდა, მან გადაწყვიტა, ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოეყენებინა. ბევრი იფიქრა იმაზე, თუ რა გაეკეთებინა ისეთი, რაც შეცვლიდა მთელ სამყაროს თუნდაც ერთი ადამიანისთვის. საბოლოოდ მან მოიფიქრა პროექტი "შენც შეგიძლია მიწვდე". მიშიკომ შექმნა 360 გრადუსიანი ვირტუალური ტურები იმ ღირსშესანიშნაობების შესახებ, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მიუწვდომელია. ვირტუალურ ტურებს დართული აქვს აუდიო გიდი ორ ენაზე. 360 გრადუსიანი ვირტუალური ტურები დაუვიწყარ გამოცდილებას სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც შეუძლიათ იმოგზაურონ და იქონიონ განცდა, თითქოს რეალურად დადიან.

აუდიო გიდი მომხმარებელს აწვდის ღრმა და დეტალურ ინფორმაციას თითოეული ლოკაციის, მისი ისტორიის, გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ. იგი აუდიტორიას საშუალებას მისცემს, გაიგოს ქართული სულისკვეთება.

ვირტუალური ტურები ხელმისაწვდომი იქნება მთელ მსოფლიოში მიშიკო გაბაიძის მიერ შექმნილი მოდერნისტიკული დიზაინის ვებ-გვერდის საშუალებით.

მომხმარებელი ვირტუალურ ტურებს გაეცნობა სმარტფონების, ლეპტოპების, ტაბლეთების ან სხვა ჭკვიანი ტექნოლოგიების გამოყენებით, აგრეთვე VR სათვალეებით, რაც კიდევ უფრო რეალისტურს გახდის აღნიშნულ ტურებს. პროექტი ტურიზმს ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის.

მიშიკოს სურს, ადამიანებმა დაიჯერონ, რომ ცხოვრებაში ნებისმიერი სიმაღლე მიღწევადია და საკუთარი პროექტით შეაქვს ამაში წვლილი.



IB DP აგრძელებს საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართულობას პანდემიის დროსაც

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება კოვიდ პანდემიის დროს

3 დეკემბერს „ევროპული სკოლის“ (საქართველო), ჰანგჰოუს საერთაშორისო სკოლის (ჩინეთი), გრაცის საერთაშორისო სკოლისა (ავსტრია) და პარიზის ნოტრდამის საერთაშორისო სკოლის (საფრანგეთი) CAS კოორდინატორების ორგანიზებით, აღნიშნული სკოლების სადიპლომო პროგრამის (DP) მოსწავლეთა შორის ვირტუალური შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო, მოსწავლეებს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ, თუ როგორ უმკლავდებიან სადიპლომო პროგრამის გამოწვევებს პანდემიის დროს. მონაწილეები დაიყვნენ მცირე ჯგუფებად, რომლებსაც მოდერაციას CAS კოორდინატორები უწევდნენ. ხელმძღვანელების წახალისებით შეხვედრის მონაწილეთა შორის აქტიური კომუნიკაცია შედგა. მოსწავლეებმა ნათლად დაინახეს, რომ ისინი არ არიან მარტო რთული გამოწვევების წინაშე, ამასთან შეიძინეს ახალი ნაცნობები საერთაშორისო სკოლებში. მონაწილეების დადებით უკუკავშირზე დაყრდნობით, ორგანიზატორმა სკოლებმა გადაწყვიტეს, გააგრძელონ თანამშრომლობა და მომავალშიც ერთობლივად შესთავაზონ მოსწავლეებს მსგავსი ღონისძიებები.



შეხვედრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) წარმომადგენელთან

მსოფლიო სურსათის დღესთან დაკავშირებით, 16 ოქტომბერს „ევროპული სკოლის“ სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) წარმომადგენელმა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება. სტუმარმა შეხვედრის დამსწრეებს წარუდგინა ინფორმაციული პრეზენტაცია სოციალური პასუხისმგებლობის როლზე სურსათისა და სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში. FAO-ს წარმომადგენელმა უზრუნველყო დისკუსიაში სტუდენტების აქტიური ჩართულობა. განხილული იქნა, თუ რა დადებითი წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ ადამიანს ისეთი გლობალური გამოწვევების დაძლევაში, როგორცაა სურსათის ნარჩენები, სიღარიბე და გარემოს დაზიანება.

„ევროპული სკოლა“ აგრძელებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ხელს უწყობს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობისა და გლობალური მსოფლმხედველობის განვითარებას.

All of us can DO



Choose local
Whenever you can, ask your parents to buy local fresh food, especially from farmers markets. In doing so, you not only help local food heroes, like smallholder farmers, but also local economic growth.

Choose seasonal
When food is out of season in one part of the world it must travel a long way before it gets to your local grocery store or market. A shorter trip can also mean riper, tastier or more nutritious food!

Grow food at home
This will take some time but it will teach you a lot about how food is produced. This can be a form of exercise and fun activity to do alone or with friends and family. Green spaces also do a lot of good for us and our environment by purifying the air we breathe.

Show appreciation

Did You know that?



Most of the food we eat comes from a farm, whether it's a crop, animal, dairy, fish or other type of farm. Did you ever think about how far some of the items in your grocery store had to travel to get to us? A great deal happens during the time food leaves a farm to when it is eaten at the table.

Cultivation - Farmers grow crops, rear animals or fish, or get produce from the local environment, like forest products.

Processing - Food either reaches your table the same way it was when it left the farm, or it is processed, which means that food coming from farms is transformed into a variety of food products.

Market - Farmers may use some of the food for their family and transport the rest to sell at a market.

The way food travels is called: System from Farm to Fork

Every hero is an important piece of the giant puzzle that is our food system!



They work in rural and urban areas. They are agricultural laborers, fisher folk, mountain farmers, foresters, pastoralists and farmers in indigenous communities. The world is filled with heroes.

Heroes are not just fictional characters — they also live in your neighborhood! Food heroes are protectors of biodiversity, defenders of the Earth's natural resources, and guardians of social and cultural traditions!

You may also recognize your local heroes as your parents or guardians that cook for you at home, processors, retailers at the grocery store, the people working at a food bank in your community, or food truck drivers.

პირველი სემესტრი სადიპლომო პროგრამაში

ევროპული სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში წარმატებით განხორციელდა ონლაინ სწავლება პირველ სემესტრში. გაზაფხულზე, ონლაინ სწავლების პერიოდში მიღებული გამოცდილება კიდევ უფრო გამდიდრდა ახალი მიდგომებითა და აქტივობებით. შუა სემესტრში დაინერგა შეფასების ახალი საშუალება AssessPrep, რომელიც ინტეგრირებულია ManageBac-ში და ოფიციალური ტესტებისა და გამოცდების შესაფასებლად გამოიყენება.

სადიპლომო პროგრამაში დაიწყო ონლაინ ვორქშოპები მშობელთათვის, რათა მათ უკეთ გაიგონ პროგრამის შინაარსი, საერთაშორისო ბაკალავრიატის ფილოსოფია და მოთხოვნები.

სადიპლომო პროგრამაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა პირველ სემესტრში. დასრულდა რეავტორიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს პროგრამის განხორციელების უფლების გაგრძელებას შემდეგი 5 წლის ვადით. სკოლა იწყებს საერთაშორისო ბაკალავრიატის კარიერული პროგრამის (CP) დანერგვას.

IBO-მ სკოლას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. IB CP ავტორიზაციის პროცესი 2022 წელს დასრულდება. იმავე წლის შემოდგომაზე მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ჩაერთონ აღნიშნულ პროგრამაში.

„ევროპული სკოლა“ ერთ-ერთი იქნება მსოფლიოს იმ 41 სკოლას შორის, რომელიც საერთაშორისო ბაკალავრიატის ოთხივე პროგრამას ახორციელებს.

MYP მოსწავლეები ცოდნას უზიარებენ თანატოლებს



„ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზისო პროგრამის (MYP) მოსწავლეებმა „ფარის ინოვაციური ცენტრის“ მონაწილეებისთვის მოაწყვეს ტრენინგების სერია თემაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში,

რომლის მიზანიც არის ციფრული ტექნოლოგიების შესახებ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში, 15 დეკემბერს MYP მე-10 კლასის მოსწავლე მიშიკო გაბაიძემ თანატოლებს გააცნო, თუ როგორ გამოიყენონ Artsteps პროგრამა ვირტუალური გამოფენის მოსაწყობად, 21 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე კი MYP მე-7 კლასის მოსწავლეები: ილია ბერბიჭაშვილი, ნუცა ქუთელია, მარიამ ხუროძე, სოფია ძულიაშვილი „ფარის ინოვაციური ცენტრის“ მოზარდებს ესაუბრნენ Padlet, Pixton, Jamboard აპლიკაციების შესაძლებლობებზე. მოსწავლეებმა წარადგინეს აღნიშნული ტექნოლოგიური რესურსის დახმარებით განხორციელებული საინტერესო პროექტები, საკუთარი გამოფენები, მოთხრობებისა თუ იგავების მიხედვით შექმნილი ანიმაციები, რამაც თანატოლების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

„ფარის ინოვაციური ცენტრის“ ხელმძღვანელმა ეკატერინე წულუკიძემ მადლობა გადაუხადა „ევროპული სკოლის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ია ლაღუას, რომელმაც გამოიჩინა ინიციატივა და ორგანიზება გაუწია აღნიშნულ შეხვედრას, თანატოლთა დამეგობრებას დაასევე მის მოსწავლეებს, რომლებიც ენთუზიაზმით ჩაერთვნენ პროექტში და განსაკუთრებულად მოემზადნენ თანატოლებისთვის საკუთარი ცოდნის გასაზიარებლად.

განმარტება

ამ ლექსში მე შევეხები ჩემი ხალხის ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებს. პირველ სტროფში განვიხილავ მათ მიგრაციას სამხრეთ აფრიკის შუაგულში. ამ მოვლენას „დიდი ბილიკი“ ჰქვია (1835-1846). მეორე სტროფში ვახსენებ ისტორიულ ბრძოლას, რომელსაც „სისხლიანი მდინარის“ ბრძოლას უწოდებენ. იგი 1838 წლის 16 დეკემბერს გაიმართა 464 ვოორტრეკერსა და სავარაუდოდ 10 000 – 15 000 ზულუსს შორის სამხრეთ აფრიკაში, მდინარე ნამომის ნაპირზე, დღევანდელ კვაზულუ – ნატალში. ბოლო სტრიქონში ვამბობ: „ისინი დელეგირებული იყვნენ მშვიდობისათვის, მაგრამ შუბით მოკლეს“. ეს იყო ზულუს მეფის დინგანეს მიერ 100 ვოორტრეკერის მკვლელობა 1838 წელს. დინგანმა უღალატა ვოორტრეკერებს და 1838 წლის 6 თებერვალს დახოცა სამშვიდობო დელეგაციის წევრები, მათ შორის რეტიფიც. მომდევნო ორ სტრიქონში ახსნილია ანგლო ბურების ომში მომხდარი მოვლენები. ეს მოვლენები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ფერმების მკვლელობით. იმ პერიოდში ფერმერების მთელი ოჯახები გადაასახლეს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. ბოლო სტროფში ვლაპარაკობ ჩემს დიდ ბაბუზე, რომელიც იბრძოდა ანგლო ბურების ომში და პატიმრობაში იმყოფებოდა წმინდა ელენეს კუნძულზე. ამ კუნძულზე პატიმრობისას მან ხისგან სკამი გააკეთა. ეს სკამი დღესაც ჩვენს ოჯახშია. მე ამ სკამს ვახსენებ ლექსის ერთ სტრიქონში. ბოლო ორ სტრიქონში პატიებას ვითხოვ ლექსის ინგლისურად დაწერისთვის, რადგან ეს ბაბუაჩემის მტრის ენა იყო. ბებია ინგლისურად სიტყვას დღესაც არ წარმოთქვამს. ასეთია მისი სიძულვილი ბრიტანელების მიმართ.



AHS-სკოლის გაზეთი

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საგაზეთო კლუბი დაარსდა. კლუბის წევრები იკრიბებიან ყოველ თვე და სკოლისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობენ, რის შემდეგაც სხვადასხვა სტატიებს წერენ. თითოეულ გამოცემას გამაერთიანებელი თემა აქვს, საგაზეთო რუბრიკები კი შეიძლება თვიდან თვემდე შეიცვალოს. ოქტომბრის გაზეთი ჰელოუინს ეხებოდა, დეკემბრის - საახალწლო განწყობას. მოსწავლეები არა მხოლოდ ტექსტებს წერენ, არამედ ილუსტრაციებსაც ამზადებენ, რათა გაზეთი მეტად მომხიბლავი და საინტერესო გახადონ.

გაზეთში აისახება ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა წარმატებები, ქვეყნდება სამომავლო ღონისძიებები და რჩევები სხვადასხვა საკითხზე. თითოეულ გამოცემაში იბეჭდება ინტერვიუ მოსწავლეებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ან სკოლის კურსდამთავრებულთან.

კლუბი ამერიკული სკოლის ყველა კლასის მოსწავლეს აერთიანებს. მისი ორგანიზატორები პროცესს ჯერჯერობით ონლაინ მართავენ, თუმცა იმედი აქვთ, რომ მალე გაზეთის ბეჭდურ ვერსიასაც შესთავაზებენ მკითხველებს.

ანტიკური მითოლოგია, ლიტერატურას, ცივილიზაცია

დღეს, როდესაც ასე აქტუალურია საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ანტიკური მემკვიდრეობის რეციპირების საკითხი ქართულ ხელოვნებაში, კონკრეტულად ლიტერატურაში. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ინტერდისციპლინარული ხასიათის გაკვეთილი, რომელსაც ანტიკური ცივილიზაციის პედაგოგი ევატერინე კობახიძე და ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეები ქეთევან გარდაფხაძე გაუძღვნენ. ასეთი ტიპის გაკვეთილები ევროპული სკოლის ამერიკული სექტორისთვის უჩვეულო არ არის, რადგან მოსწავლეები აქ წარმატებით ეუფლებიან ანტიკურ მითოლოგიას, ანტიკურ ლიტერატურას, ანტიკური ცივილიზაციის ისტორიას, ლათინურ ენას. სწორედ ამ საგანთა საშუალებით ისინი ეზიარებიან იმ კულტურას, რომელზედაც, ერთი მხრივ, აღმოცენდა თანამედროვე ევროპა, ხოლო მეორე მხრივ, ამ საოცარი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა საქართველო.

გაკვეთილზე მოსწავლეებმა გაანალიზეს აკ. წერეთლის ალეგორიული ხასიათის მოთხრობა „ვინ არის აზნაური?“; განიხილეს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ამბავი ქართლში და მასთან დაკავშირებული ისტორია. გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებმა გამოავლინეს არა მარტო ტექსტზე მუშაობის დახვეწილი უნარი, არამედ ანტიკური ლიტერატურის სერიოზული ცოდნა, განიხილეს პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებიდან“ „ალექსანდრე მაკედონელის“ ბიოგრაფია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილზე მოსწავლეებს მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ ძალიან საინტერესო, მოცულობით ელექტრონულ ბაზას, რომელმაც თავი მოუყარა ქართულ ლიტერატურაში (V-XX სს.) დაცულ ანტიკურ ტერმინებს (სახე-სიმბოლოებს) და მათთან დაკავშირებულ სამეცნიერო მასალას.

ამერიკული უმაღლესი სკოლის საქველმოქმედო კლუბი

ამერიკული უმაღლესი სკოლის საზოგადოება მუდამ მზადაა მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო აქციებში. წელს მოსწავლეებმა გადაწყვიტეს გაზარდონ თავიანთი ჩართულობა ქველმოქმედებაში და დააფუძნეს ამერიკული უმაღლესი სკოლის საქველმოქმედო ორგანიზაცია (American High School Charity Organization – AHSCO). ამ საქმიანობაში მე-8-დან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეები არიან ჩართულნი. ისინი გეგმავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებებს და ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური მედიის საშუალებით. აღნიშნული კლუბი ქველმოქმედების რომელიმე ერთ ასპექტზე არ აკეთებს აქცენტს, არამედ ის კონცენტრირებულია სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე, რომლებიც პრობლემატურია დღევანდელ მსოფლიოში. საქველმოქმედო კლუბი შედგება მცირე ჯგუფებისგან. თითოეული მათგანი მუშაობს წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით და გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. ამჟამად არსებობს 7 ქვეჯგუფი, მათ შორისაა: გარემოსდაცვითი მიმართულება, დეპარტამენტები მოხუცთა, სოციალურად დაუცველთა და ქუჩის ცხოველების დასახმარებლად, გარდა ამისა მუშაობა მიმდინარეობს განათლების, ჯანმრთელობისა და გლობალური საჭიროების მქონე საქველმოქმედო ღონისძიებების მოძიებისა და დაგეგმვის კუთხით. საქველმოქმედო ჯგუფი დღითიდღე ფართოვდება. AHSCO-ს დამფუძნებლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია დახმარების გაწევა მათთვის, ვისაც იგი ესაჭიროება. ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეების სურვილია, რომ მათ მიერ დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია სამომავლოდ უფრო განვითარდეს და იმედოვნებენ, რომ შეძლებენ, თუნდაც მცირედით, შეცვალონ მსოფლიო უკეთესობისკენ.

სახელმძღვანელო - ოვიდიუსის მეტამორფოზები

ამერიკული სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები, საკუთარი ინიციატივით, წელს შექმნიან დამხმარე სახელმძღვანელოს ოვიდიუსის მეტამორფოზებისთვის.

ამერიკული უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამის ნაწილია საგანი კლასიკა, რომელიც მოიცავს კლასიკური მითოლოგიისა და ლიტერატურის ნიმუშების, მათ შორის, ოვიდიუსის რომაული მითებისა და ისტორიების ცნობილი კრებულის - მეტამორფოზების შესწავლას. ამ ნაწარმოების გააზრება, შესაბამისი კონტექსტის გარეშე, რთულია. სწორედ ამიტომ, ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობით მკითხველი მარტივად შეძლებდა შინაარსის გაგებას და პერსონაჟების ისტორიის აღქმას. მოსწავლეები წიგნის ილუსტრაციებზეც მუშაობენ. გამოცემის შემდეგ დამხმარე სახელმძღვანელო არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ასეთი გზით, მკითხველს შეეძლება, უკეთ აღიქვას რომაული მითოლოგიის სიღრმე და მნიშვნელობა და უფრო საინტერესო გახდება ნაწარმოების კითხვის პროცესიც.



პირველი დღე

2020-2021 სასწავლო წელი „ევროპულ საბავშვო ბაღში“ 12 ოქტომბერს დაიწყო.

ბავშვებს ბაღის ეზო ფერადი ბუმბუტებით მორთული დახვდათ. მათ მხიარულ განწყობაზე აღმზრდელებთან ერთად ზრუნავდნენ ჩვენი ბაღის მეგობრები: ზუზუ, მინი, სანი და ლუ.



ონლაინ ბაღი

9 ნოემბრიდან „ევროპული საბავშვო ბაღი“ ონლაინ სწავლებაზე გადავიდა.

ქართული და ინგლისური სექტორის მოსამზადებელ ჯგუფებს ყოველდღიურად პროგრამულ მეცადინეობებთან ერთად უტარდებათ ინგლისურის, რუსულის, ხელოვნების, მუსიკის, ცეკვის, ბალეტის, კარატესა და სპორტის გაკვეთილებიც.

ონლაინ შეხვედრების დროს მასწავლებლები უზიარებენ პატარებს მათ მიერ წინასწარ მომზადებულ საინტერესო პრეზენტაციებს. ერთად ასრულებენ ენისა და მათემატიკის სავარჯიშოებს. თემის დასრულების შემდეგ ეწყობა სახალისო ვიქტორინები. მრავალფეროვნებისთვის მასწავლებლები ცდილობენ სხვადასხვა ლოკაციიდან ჩაერთონ გაკვეთილებზე, იქნება ეს ბაღის საკლასო ოთახი, მუზეუმი თუ ღია სივრცე ბუნებაში.



სუფთა ხელები

15 ოქტომბერს „ევროპულ საბავშვო ბაღში“ ტრადიციულად აღვნიშნეთ ხელის დაბანის საერთაშორისო დღე. ამ დღეს ბავშვებმა საკუთარი ხელით დამზადებული კაკაოს საპნით დაიბანეს ხელები, ისაუბრეს ხელის სწორად დაბანის წესებზე, მნიშვნელობაზე და გააკეთეს სხვადასხვა აპლიკაციები.

